

საწარმოო პრაქტიკას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სტუდენტთა თეორიული მომზადების ხარისხის ამოღებისათვის.

ამ მიზნით ტფილისის სახ. უნივერსიტეტმა 1933-34 სასწ. წელს მიაგლინა საწარმოო პრაქტიკაზე მე-3 კურსის სტუდენტები—890 კაცი. თუმცა უნივერსიტეტის საწარმოო პრაქტიკის სექტორმა დროულად შეადგინა გეგმები დაღვა ხელშეკრულება სათანადო სამეურნეო ორგანიზაციებთან, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ საწარმოო პრაქტიკას ახასიათებდა მთელი რიგი დეფექტები. მაგ. ზოგიერთ სპეციალობაში შედგენილ პროგრამებს არ ჰქონდა კონკრეტული ხასიათი. ასეთი იყო ფინანსებისა და საკრედიტო გეგმიანობის პროგრამა.

საწარმოო პრაქტიკის სექტორმა ვერ უზრუნველყო კონტროლის გაწევა სამეურნეო ორგანიზაციებთან დადებულ ხელშეკრულების შესრულებაზე, რის გამოც მთელმა რიგმა ორგანიზაციებმა უკან დააბრუნეს პრაქტიკანტები. ასე მოიქცა მაგალითად ტფილისის აბრეშუმის ფაბრიკა, მაუდის ფაბრიკა და ტფილისოფმრეწვი.

საწარ. პრაქტიკის სექტორს უნდა ჩაეტარებია კონსულტაციები და კონფერენციები პრაქტიკანტ სტუდენტებს შორის, მაგრამ არც ეს მომხდარა.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ზოგიერთი სტუდენტების მიერ საწარმოო პრაქტიკის ოპორტუნისტული შეუფასებლობა, ასეთები: ეკონომ. ფაქულტეტის სტუდენტები—წულაია, მორჩაძე, კობრაძე და მოისწრაფეშვილი; ისტორიულ ფაქულტეტიდან—ბეგლაროვი, ყურული, რაზიკაშვილი, გოცირიძე, ცეკვაძე და ლალიძე; საბუნებისმეტყველო ფაქულტეტიდან—მინიავა, გაყრელიძე, კიტია, ხალაძე, ჩხაიძე, სანებლიძე და ბეღია.

ივ. კორბაძე.

პერკო პირაბი
სტუდენტთა
სასწრაფოებელი

სახუნევერსიტეტის სტუდენტებს სტუდენტთა ქალაქში უჭირავს 3 კორპუსი (6, 7, 8). ეს კორპუსები ვერ აკმაყოფილებს უნივერსიტეტის სტუდენტობას. ამის გამო უფროსი კურსის სტუდენტები უბინაოდ რჩებიან.

უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებულ კორპუსებში სტუდენტთა ქალაქის ღირებულების ოთახების საგრძნობი რაოდენობა უჭირავს. ასე მაგალითად, მე-6 კორპუსში 3-ოთახიანი დაკავებული ცეცხლმქრობელი რამბლეთისა და ელექტრომონტიორებისათვის. მე-7 კორპუსში დაკავებულია 7 საწოლიანი 5 ოთახი, მე-8 კორპუსში დაკავებულია 3 ოთახი. რომ ეს ოთახები გადაეცეს სტუდენტებს, 55 კაცს კიდევ მიეცემა ბინა.

ამ გარემოებას სოც. ყოფაცხოვრების სექტორმა ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს.

უ. გაბეჩავა.

სახ. უნივერსიტეტის კომკავშირის ორგანიზაცია კომუნისტური ახალგაზრდობის საკმაოდ დიდ რაზმს წარმოადგენს, იგი აერთიანებს 2.300 კომკავშირელს. ჩამოყალიბების დღიდანვე სახ. უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტი პარტიული კომიტეტის ხელმძღვანელობით, ენერგიულ ბრძოლას აწარმოებს უნივერსიტეტის კომკავშირის ორგანიზაციის დასარსებად, სასწავლო გეგმების შესრულების, სწავლების ხარისხის აღმატების, დისციპლინის განმტკიცების, სტუდენტთა უფაცხოვრების გაუმჯობესებისა და მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლების დარგში.

გაშლილი მუშაობის შედეგად კომკავშირის ორგანიზაციამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია, დისციპლინის განმტკიცებისა და სწავლების ხარისხის ამოღების საქმეში. ფართოდ იყო გაშლილი შრომის სოციალისტური მეთოდები: სოც. შეჯიბრება, დამკვერლობა და საზოგადოებრივი ბუქსირი. ამ ნიშნულზე მიღწეულ იქნა სასწავლო გეგმების მთლიანად შესრულება, სწავლების ხარისხის გაუმჯობესება და გაოსწორებულ იქნენ მთელი რიგი ჩამორჩენილი სტუდენტები.

მნიშვნელოვანი წარმატებები გვექონდა მარქსისტულ-ლენინური სწავლების ხარისხის გაუმჯობესების დარგშიც. გაიზარდა კომკავშირელთა აქტიობა პოლიტ-სკოლებში; გვყავს საუკეთესო დამკრეული პროპაგანდისტები. ასეთები: ალ. ლლონტი, ი. შარაშიძე, ვ. კალანდაძე, ნ. გვათუა, მ. ჩხენკელი,

ვ. ოსიძე, პ. ბებია და სხვა. 99 პროცენტი კომკავშირელებისა ჩაბმულია კომკავშირულ და საზოგადოებრივ მუშაობაში და აწარმოებენ აქტიურ მუშაობას. სახ. უნივერსიტეტის კომკავშირის ორგანიზაციას ჰყავს დამკვერელი კომკავშირელი სტუდენტები, რომლებმაც მოგვცეს აკადემიური და საზოგადოებრივი მუშაობის ნიმუშები; ასეთები: მ. მახარაშვილი, რ. ოთხმეზური, გ. გიორგობანი, ტ. დოლიძე, ნ. ბერია, თ. ტატიშვილი, გ. ამიროვი. ა. გრძელიძე ა. დოლიძე და სხვები.

მაგრამ არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ მოპოვებული მიღწევებით და არ აღვნიშნოთ ის დეფექტები, რომლებსაც ჯერ კიდევ აქვს ადგილი კომკავშირის ორგანიზაციის მუშაობაში. ეს დეფექტები უმთავრესად გამოიხატება იმაში, რომ კავშირის ზოგიერთი ძირა ორგანიზებმა ჯერ კიდევ ვერ დაუკავშირეს თავისი მუშაობა სასწავლო გეგმების შესრულებისა და ხარისხისათვის ბრძოლის კონკრეტულ ამოცანებს. კონკრეტულ ოპერატიული მუშაობის გაშლის ნაცვლად კმაყოფილებოდნენ ფართოდ და ზოგადი რეზოლიუციებით, ხშირი სხდომებით, თათბირების მოწვევითა და სხვა. ასე დაემართა საგგემო სექციის I და II კურსის კ.კ. უჯრედს. ერთ-ერთ საკავშირო დღეს უჯრედმა მიიღო ექვსგვერდიანი დადგენილება, რომელიც მხოლოდ ზოგადი ფრაზების კორიანტელს აყენებდა და არც ერთი კონკრეტული პრაქტიკული ამოცანა არ იყო დასმული.

უარეს მდგომარეობას ჰქონდა ადგილი უცხო ენების კურსებთან არსებულ კ.კ. უჯრედში. უჯრედის მდივანმა ა.მ.ხ. საათაშვილმა არც კი იცოდა, თუ რამდენი კომკავშირელი ირიცხება მის უჯრედში, და არ არის გასაკვირი, რომ კომკავშირის წევრებზე ირიცხებოდა საწევრო გადასახადის 6-7 თვის დავალიანება -I კურსის ფრანგულ სექციაზე და მე-2 კურსის გერმანულ და ინგლისურ სექციაზე არავითარ მუშაობას არ აწარმოებდა კომიარგი. ფრანგული სექციის მეორე კურსზე არც ერთი კომკავშირელი არ ირიცხებოდა, და არც მიმაგრებული იყო მასზე არავინ უჯრედიდან. საქმისადმი ასეთი ფორმალური დამოკიდებულებისათვის კომკავშირის კომიტეტმა უჯრედის მდივანი საათაშვილი მოხსნა მდივნობიდან სასტიკი საყვედურის გამოცხადებით.

მიმდინარე გადარჩევებთან დაკავშირებით ნამდვილი კომკავშირულ ბრძოლა უნდა გავშალოთ, მოპოვებული მიღწევების გამტკიცებისა და არსებული დეფექტების აღმოსაფხვრელად, უნდა მივალწიოთ კომკავშირული მუშაობის ბოლომდე გარდაქმნას. მუშაობის გარდაქმნამ უნდა უზრუნველყოს კომკავშირელთა ავანგარდული როლის ამოღება სწავლების დარგში, კომკავშირელთა აქტიობის შემდგომი მობილიზაცია სასწავლო გეგმების მთლიანად და მალალი ხარისხით შეძრულებისათვის.

ვ. ქვარცხავა.

მალალი მაჩვენებლების წელი პარტ-სწავლებაში

სახ. უნივერსიტეტში გასულ სასწავლო წელს, პარტსწავლებაში ჩაბმული იყვნენ კომუნისტები და კომკავშირელები 100 პროცენტით, ხოლო უპარტიო სტუდენტობა 67 პროც. სულ მოწოდებული იყო 22 სხვადასხვა ტიპის სკოლა-წრე.

ჩამოყალიბებული იყო აგრეთვე მალალი ტიპის ორი სემინარი ხელმძღვანელი პარტ აქტივისა და კომკავშირის აქტივისათვის. ყველა სკოლა-წრე და სემინარი უზრუნველყოფილი იყო კვალიფიციური და პოლიტიკურად მტკიცე პროპაგანდისტებით.

ფართოდ იყო გაშლილი სოც. შეჯიბრება და დამკვერლობა, დამაკმაყოფილებლად იყო დაყენებული მეცადინეობაზე დასწრებისა და სწავლების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების აღრიცხვა.

ყველა ტიპის წრეებში დამუშავდა ს. კ. პ. (ბ) მე-17 ყრილობის გადაწყვეტილებები და ა.მ.ხ. სტალინის მოხსენება, საქ. და ა.მ.კ. ყრილობების მასალებთან დაკავშირებით. პროგრამა მთლიანად იქნა შესრულებული.

მიუხედავად ამ მნიშვნელოვანი წარმატებებისა გასულ წელს უნივერსიტეტში პარტსწავლების საქმეში მაინც გვექონდა შემდეგი დეფექტები.

პარტსწავლების ქსელის გაშლის დროს ადგილი ჰქონდა ლენინიზმის შემსწავლელი დაწყებითი პოლიტსკოლების არასაკმაო რაოდენობით გაშლას სპეციალურ ფაქულტეტებზე. (საბუნებისმეტყველო, ფიზ. მათემატიკური).

თვითუფ სკოლა-წრეში გაერთიანებული უპარტიოთა შემადგენლობა აღწევდა 50 პროცენტის და შედარებით მცირე იყო მასში პარტწევრ-კანდიდატების ხვედრითი წილი.

ზოგიერთი უჯრედის მდივანი (შემდეგ პარტორგანიზატორები) ვერ იყვნენ ყო-

ველთვის პარტსწავლების საქმის კურსში, არ ესწრებოდნენ მეცადინეობას სწავლების შემოწმების მიზნით, ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ სწავლების ხარისხისათვის ბრძოლას. ფიზიკურ-მათემატიკურ ფაქულტეტზე ადგილი ჰქონდა პროპაგანდისტთა ხშირი ცვლადობას.

გვექონდა შემთხვევები პოლიტ. წრის მეცადინეობის ჩაშლისა (3-ჯერ), პროპაგანდისტის გამოუცხადებლობის გამო, ორი წრის გაერთიანებისა, რაც ხელს უშლიდა სწავლების ნორმალურ მსვლელობას, ადგილი ჰქონდა ცალკე პროპაგანდისტების მიერ დაუფევრობას, რისთვისაც მოხსნილ იქნენ პროპაგანდისტობიდან საყვედურის გამოცხადებით ლექტორები: ა.მ.ხ. შ. შაპავა, დიომიდე თოფურია.

იყო შემთხვევები, როდესაც სტუდენტები უმიზეზოდ აცდენდნენ მეცადინეობას (დასწრება საშუალოდ აღწევდა 93,0/0-ს) არ ექცეოდა შესაფერის ყურადღება პარტ. კომკავშირის პარტსწავლების ქსელის გარეშე დარჩენილი სტუდენტობის პროფ-სწავლებას. სუსტად მუშაობდნენ პროფ. წრეები ამ მხრივ სუსტი იყო მუშაობა ადგილკომის ხაზით.

მიმდინარე 1934/35 სასწავლო წლისათვის სახ. უნივერსიტეტში უკვე გაშლილია შემოდგომა-ზამთრის პარტსწავლების ქსელი. დაკომპლექტებულია 21 პარტ. სკოლა-წრე. პარტსწავლებაში ჩაბმულია პარტიის წევრები და კანდიდატები 100 პროც. ყველა ტიპის სკოლა-წრეებში გაერთიანებულია 535 მსმენელი.

სკოლებიდან წრეები უზრუნველყოფილია პროპაგანდისტებით; ყველა პროპაგანდისტი გაერთიანებულია პროპ. სემინარებში, რომლებიც დაკომპლექტებულია სკოლების ტიპების მიხედვით.

ამჟამად ჩვენი უდიდესი ყურადღება მიქცეულ უნდა იქნეს იმისაკენ, რომ სწავლების პროცესში დაცულ იქნეს

მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის სიწმინდე, უნდა მივალწიოთ მალალი მაჩვენებლებს მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის მოძღვრების დაუფლების საქმეში.

დიდი დახმარება უნდა გაუწიოთ კომკავშირის ორგანიზაციას. პარტორგანიზაციამ უზრუნველყო კ. კ. ორგანიზაცია პარტ. წევრ-პროპაგანდისტებით. მაგრამ ეს დახმარება ჯერ კიდევ არ არის საკმარისი. პარტორგანიზატორების მიერ კომკავშირზე კონკრეტული ხელმძღვანელობა კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს; სტუდ. აღმასბიუროსა და უნივერსიტეტის ადგილკომმა უნდა გარდაქმნას თავისი მუშაობა საქ. პროფ. საბჭოს უკანასკნელი პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე და უზრუნველყონ უნივერსიტეტში პროფ.-პოლიტ.-სწავლების საქმის კარგად დაყენება, კერძოდ არ უნდა დარჩეს არც ერთი უპარტიო სტუდენტი და თანამშრომელი (რომელთა ჩაბმა პარტ. კომკავშირის სწავლებაში შეუძლებელი ხდება) პროფ. პოლიტ. სწავლების გარეშე.

განსაკუთრებით უნდა გაძლიერდეს მუშაობა უპარტიო პროფესურაში. გასულ წელს უნივერსიტეტის უპარტიო პროფესორ-ლექტორთაგან ორმოცამდის კაცი იყო ჩაბმული პარტსწავლებაში. წელს ეს რაოდენობა უნდა გაიზარდოს, უნდა გავშალოთ მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდა მეცნიერების მუშაკებში უფრო ფართოდ.

სოც. შეჯიბრებასა და დამკვერლობაში ჩაბმულ უნდა იქნეს ყველა პროპაგანდისტი და მსმენელი.

უნდა უზრუნველყოფილი იქნას 100 პროცენტით დასწრება მეცადინეობაზე, შექნად მტკიცე დისციპლინა პარტ. სწავლების საქმეში და სასტიკი ზომები მივიღოთ მათ წინააღმდეგ, ვინც უმიზეზოდ გააცდენს მეცადინეობას ან ხელს შეუწყობს მეცადინეობის ჩაშლას,

ბ. ჯანელიძე.

სახ. უნივერსიტეტის სემინარსტუორის ინსტიტუტმა საგრძნობლად გარდაქმნა მუშაობა საკავშირო ცაკის 1932 წ. 19 სექტემბრის დადგენილების საფუძველზე. ინსტიტუტმა შესძლო გარკვეული მოხიზონილებები წაეყენებია ასპირანტურაში შემსვლელთათვის. ამ მიზნით შემოღებულ იქნა სპეციალური გამოცდები.

ასპირანტურის ინსტიტუტს უკვე აქვს ზუსტი სასწავლო გეგმები, პროგრამები და ასპირანტთა მომზადების ინდივიდუალური გეგმები. ასპირანტურაში ირიცხება 87 კაცი 47 სპეციალობაში, თვითუფილი ასპირანტი მიმაგრებულია შესაფერის კათედრასთან, რომელიც პასუხისმგებელია ასპირანტის მომზადებისათვის. გასულ წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა ასპირანტთა აკადემიური მომზადების დონე. პირველი კურსის ასპირანტებიდან ფრიად დამაკმაყოფილებლად ასწრებს 60 პროც. კარგად 46,6 პროცენტი, დამაკმაყოფილებლად 3,3 პროც. მეორე კურსის ასპირანტებიდან — ფრიად დამაკმაყოფილებლად ასწრებს 63,0 პროც. კარგად—37 პროც., მიმდინარე წელს ასპირანტურის ინსტიტუტი დამათავრა 25 კაცმა, აქედან ფრიად დამაკმაყოფილებლად 36,0 პროც. კარგად—60 პროც. დამაკმაყოფილებლად 4,0 პროც.

მიმდინარე სასწავლო წელს ასპირანტურის ინსტიტუტმა შესძლო ასპირანტთა სამეცნიერო მივლინების მოწესრიგებაც. მოსკოვში და ლენინგრადში მივლინებულ იქნა 10 ასპირანტი.

კურს დამთავრებულ ასპირანტების წინაშე დაყენებულია 1934 წლის დეკემბრამდე სადისერტაციო შრომის გამზადების ამოცანა. ბრძოლა სადისერტაციო შრომების მალალი ხარისხისათვის—ასპირანტურის ინსტიტუტის ყველაზე უფრო საპასუხისმგებლო ამოცანას წარმოადგენს.

კურსდამთავრებულ ასპირანტთა შორის, რომლებმაც წარმატებით შეასრულეს თავიანთი ინდივიდუალური საწარმოო გეგმა უნდა აღინიშნონ: ხავთასი, გ. გაბისონია მ. კვირიკაძე ი. კაკაბაძე ი. ასათიანი კ. ნუცუბიძე ა. მეტრეველი ი. აბზიანიძე გ. ნიკოლაძე ა. და სხვ.

პროფესორ მასწავლებლები, რომელთაც დროულად და მალაზარისხვნად შეასრულეს თავიანთი გეგმები ასპირანტების მომზადების საქმეში არიან: პროფ. ორაგველიძე, აღნიაშვილი, ბაქრაძე, ვაშაყმაძე, კვიცირიძე, ქოიავა, რამიშვილი და სხ.

მიღწევებს შორის ხაზი უნდა გაეყვას ასპირანტების უზრუნველყოფას ბინებით ლიტერატურით, და ასპირანტების განთავსუფლებას ადმინისტრაციულ თანამდებობებთან.

1934—35 სამოსწავლო წელს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფიზიკის, ქიმიის, ზოოლოგიის, მინერალოგიის, ბოტანიკის და გეოგრაფიის კათედრების უზრუნველყოფას ასპირანტებით, რომლებიც დღემდე განიცდიან ახალგაზრდა მეცნიერული კადრების სიმცირეს.

ზ. სინაკულიძე.

1 სექტემბერს სოფ. დიდ-ჯი-
ხაიში გარდაიცვალა ახალგაზ-
რდა მეცნიერი მუშაკი ახს. სერ-
გო ბალანჩიშვილი.

ახს. სერგო დაკარგვა განსა-
კუთრებით სამწუხაროა იმ ახს-
ნაგებისათვის, რომელთა ერ-
თად მან წილს დაამთავრა სახუ-
ტის ასპირანტურა.



ახს. სერგო ბალანჩიშვილი
(1905-1934)

ახს. სერგო წილს უნივერსი-
ტეტში სწავლის დაწყებას განუ-
საზღვრელი სიხარულით მოე-
ლოდა, რადგან იგი სხვა კურს
დამთავრებულ ასპირანტებთან
ერთად ელოდა მის-თვის საოცნე-
ბო სამეცნიერო და პედაგოგიურ
მუშაობის. განახლება ახს.
სერგოს ეს ოცნება უდროოდ
გაწყდა. ბრმა შემთხვევის გამო
იგი დღეს სამწუხაროდ ჩვენს
რიგებში აღარ არის.

ახს. სერგო სამაგალითო ასპი-
რანტი იყო. ბოლშევიკური სიფ-
ხიზლე იდეოლოგიურ ფრონტზე,
ორგანიზაციულობა, აკადემიური
წარმატებისათვის შეუწყობელი

ბრძოლა—ახს. სერგოს დამახასი-
ათებელ თვისებებს შეადგენდა.

ახს. სერგო ენერგიულ აკადე-
მიურ მუშაობასთან ათავსებდა
დიდ საზოგადოებრივ მუშაობა-
საც. იგი, როგორც მოწინავე კომ-
კავშირელი, პირნათლად და გა-
დაუდებლად ასრულებდა კომკავ-
შირის ორგანიზაციის ყველა და-
ვალეზას.

განსაკუთრებით დაუფიქრარია
ჩვენთვის სერგო როგორც ახს-
ნაგი, ძვირფასი ადამიანური თვი-
სებები—უბრალოება, ყველასა-
დმი სათუთი მიდგომა, გულწრფე-
ლობა და პირდაპირობა ყოველ-
თვის იზიდავდა ყველას.

ახს. სერგოს დაკარგვით უნი-
ვერსიტეტმა დაკარგა ნიჭიერი
ახალგაზრდა მეცნიერი, სტუდენ-
ტობამ—საუკეთესო მასწავლებე-
ლი, ჩვენ კი—სამაგალითო ახს-
ნაგი.

ახს. სერგოს ყოველთვის მო-
ვიგონებთ სიყვარულითა და გულ-
წრფელობით და მის ხსოვნას
იმით ვსცემთ პატივს, რომ ერთი
წამითაც ძირს არ დავხრით მეცნი-
ერების იმ დროს, რომლის ქვე-
შაც იტყებოდა მისი ნორჩი,
მაგრამ საღი პროლეტარული
ცნობიერება.

ასპირანტ-ასისტენტების ჯგუ-
ფი: პ. აბულაძე, ა. კაციანი, ი.
კვიციანი, ა. ნუცუბიძე, მ.
აბზინაძე, შ. შინჭაბაძე, მ. იმე-
დაშვილი, ი. მარგოშია, მ. ბა-
ძაძაძე, ნ. მახარაშვილი, ა. ნი-
კოლაძე, შ. ძაბაძაძე, მ. გი-
ტარაძე, ა. მამიაშვილი, პ.
გიორგაძე, მ. ჩიკვაძე, თ. ხა-
ნაძე, მ. სილაგაძე, ლ. ნუცუბიძე.

პროლეტარიატის დიქტატურის
ორგანიზების—საბჭოების მომავალი
საანგარიშო-საგადარჩევო კამპანია
უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური
კამპანიაა. მის სწორად და წარ-
მატებით ჩატარებაზე ბევრად არის
დამოკიდებული საბჭოების როლისა
და პასუხისმგებლობის შემდგომი
გაზრდა, იმ საბჭოების, რომლებ-
შიც არიან „პარტიის ლენინური
პოლიტიკის პრაქტიკულად გამ-
ტარებლები“. (საქ. კ. პ. (ბ) ც. ქ.
1930 წ. პლენუმი.)

არჩევნების წარმატებით ჩატა-
რება შესაძლებელია მხოლოდ
მშრომელთა ფართო მასების მო-
წოდებით, ბოლშევიკური
თვითკრიტიკის გაშლით საბჭოე-
ბის მუშაობის გარშემო, დეპუ-
ტატთა ჯგუფების, სექციების და
თვითეული დეპუტატის მუშაობის
შემოწმებით, მათი დადებითი და
უარყოფითი მხარეების გამოჩე-
ვებით. უნდა ვამხილოთ საბჭოე-
ბის მუშაობის ცალკე დეფექტები,
უნდა გამოვამკლავნოთ საბჭოების
კარგი და ცუდი დეპუტატები.

საბჭოების საანგარიშო-საგადარ-
ჩევო კამპანიის ჩასატარებლად
ფართოდ გაიშალა მოსამზადებე-
ლი მუშაობა, გამოიყო საარჩევნო
კომისიები, გროვდება მუშათა წი-
ნადადებები არჩევნებთან დაკავ-
შირებით და სხვ.

როგორია მდგომარეობა ამ
მხრივ სახ. უნივერსიტეტის საღე-
პუტატო ჯგუფში.

უნდა ითქვას, რომ ამ მიმართუ-
ლებით სახ. უნივერსიტეტის საბ-
ჭოს საღეპუტატო ჯგუფმა დროზე
გაშალა მუშაობა, შედგინდა იქნა
საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიის
ოპერატიული გეგმა, გეგმის მიხე-
დვით საანგარიშო-საგადარჩევო
კამპანიისათვის მოსამზადებელი მუ-
შაობა უნდა ჩატარდეს 25 სექტემ-
ბრიდან 10 ოქტომბრამდე.

ამომრჩევლებისათვის ანგარიშის
ჩატარება უნდა მოხდეს 10 ოქ-
ტომბრიდან 5 ნოემბრამდე, არ-
ჩევნები კი—10 ნოემბრიდან 1-ლ
დეკემბრამდე.

დროულად ჩატარდა დეპუტატ-
თა ჯგუფში არჩევნებისათვის მო-
სამზადებელი მუშაობა. ჩამოყა-
ლიბდა საარჩევნო კომისია. მ.
მამალაძის (თავმჯდომარე), მ.
გოგიბერიძის, სარჯველაძის, ვა-
ჭარაძისა და ორდენიძის შემად-
გენლობით. საარჩევნო კომისია
უკვე შეუდგა მუშაობას, კომისიის
წევრები მიემარნენ ფაქულტე-
ტებზე, საარჩევნო სიებისა და სა-
ქმიანი წინადადებების შესაგრო-
ვებლად. კლასობრივი სიფხიზლის
გამახვილებისა და სოციალურად
მიუღებელი ელემენტების გამოა-
შკარავების მიზნით კომისიამ უკვე
გადადგა პრაქტიკული ნაბიჯი.

სახ. უნივერსიტეტის საღეპუტატ-
თა ჯგუფის მიერ გამოყოფილ
იქნა ბრიგადა, რომელმაც მოახ-
დინა ტფილისის საბჭოსა და ორ-
ჯონიკიძის რაიონის სექციებში
ჩვენი დეპუტატების მუშაობის შე-
მოწმება. საღეპუტატო ჯგუფი

აერთიანებს 49 საბჭოს
წევრს და 52 პროფ. სტუდენტს, ბრი-
გადის შემოწმების შედეგად გამო-
ირკვა, რომ საღეპუტატო ჯგუფის
ყველა წევრები არ იყვნენ საღე-
პუტატო ჯგუფის მუშაობაში ჩა-
ბმული.

საუკეთესო მომუშავეებად ბრი-
გადამ ცნო: კალანდარიშვილი შა-
ლვა, მირიანაშვილი ვასო, ბუაჩიძე
ალექსანდრე, გოგოლაშვილი ალექ-
სანდრე და სხვ. ბრიგადამ ამავე
დროს ამხილა სუსტი დეპუტატე-
ბი, მათ შორის: შავლაძე ელენე,
მ. ჩხაიძე პროფ-აქტივში საუკე-
თესო მომუშავეებად ითვლებიან:
მრეველიშვილი სოსო, კუჭავა პ.
კაშმაძე ზინა.

საანგარიშო-საგადარჩევო კამპა-
ნიის წარმატებით ჩატარება დამო-
კიდებულია საარჩევნო კომისიების
კონკრეტულ ოპერატიულ ხელ-
მძღვანელობაზე, იმაზე, თუ როგორ
შეძლებენ ისინი არჩევნების გარ-
შემო ცოცხალი ადამიანების და-
რახმევას, მათ ჩაბმას პროლეტარი-
ატის დიქტატურის ორგანიზების—
საბჭოების არჩევნებში.

ს. ზილია.

ახალი სამოსწავლო წელი

სახსრების მუშაობის დირექცია
ახალი სასწავლო წლისათვის მზა-
დებს ჯერ კიდევ ივნისიდან შე-
უდგა. წილს მუშაობაში სწავლობს
800 მსმენელი, აქედან 80 პროცენ-
ტი პარტწევრკომკავშირელია.

ახალ სასწავლო წელს მუშაობა
ხდება კარგი მაჩვენებლებით: სას-
წავლო ნაწილს სათანადო მუშაობა
აქვს ჩატარებული, რაც უნდა მიე-
წეროს ამ დარგში მომუშავეს ახს.
მოხეშვილის ენერგიულ მუშაობას,
შედგენილია გეგმები და პროგრამ-
ები, სათანადო ყურადღება აქვს
მიქცეული საქ. კ.პ.(ბ) ცეკასა და

განსახკომის დადგენილებას რუსუ-
ლი ენის შესახებ. გაზრდილია რუსუ-
ლი ენის საათები, სწავლების შერ-
ჩეულია სათანადო კვალიფიციური
პედაგოგიური კადრები, ჩატარდა
მუშაობის კაპიტალური რემონტი,
მსმენელები უზრუნველყოფილია სა-
ერთო საცხოვრებლებით, სასადი-
ლოთი და საპარკინაზეროთი.

მოწყობილია ფიზიკისა და ქიმიის
ახალი ლაბორატორიები, გახსნი-
ლია გეოგრაფიის, ბუნებისმეტყვე-
ლებისა და სამხედრო კაბინეტი.
ი. ბოლქვაძე.

ქართვა ღელაბორნი

ერთი წიგნის ნაამბობი

მეორე დღეს სტუდენტმა ქალო ლ. შ.—
დაცინით გაავლო თვალი ამ პსევდონიმს,
გადაუსვა ხაზი ქიმიური მელნით და წაა-
წერა: თინა-კოტეს, პეტრე-ლუბას, ევა-დი-
ანოსას.

მხოლოდ მესამე დღეს მეღირსა წაკი-
თხვა. ვილაც სათვალეობინა ახალგაზრდამ,
რომელიც ფერად ფანქრებით იყო შეი-
არაღებული გადაშალა 87—დე გვერდი
და საშინელი ძალით და სისწრაფით
დამიწყო სხვადასხვა ფერადი ფანქრებით
ხაზვა. სამი დღის განმავლობაში ამ და-
ლოცვილმა ისე ამფერადა, რომ თვითონ
უჭრელდებოდა თვალები.

ამ „შახსი-განსი“-ს შემდეგ ხელში
ჩაუვარდა ხანდაზმულ მკითხველს, რომე-
ლმაც ფერადი ფანქრით ნახაუბი ქიმი-
ური მელნით გააცხოველა.

ერთ დღეს სტუდენტ ალექსანდრე დ—ს
ხმა მომესმა:

—ეს წიგნი აუცილებლად ორი დღით
უნდა მათხოვოთ შინ“.

მე გამეხარდა, ვიფიქრე მეღირსა და-
სცემდა—მეთქი.

ალექსანდრემ წამილა სახლში, სადაც
მისვლისთანავე ერთმა კოპწია, ოქროს
საყურებინა ასულმა მიძიე ოპერაცია
გამიკეთა.

ბეჩა ალექსანდრე—ჩემს დანახვისთა-
ნავე წამოიძახა ამ ქალიშვილმა,—რამდენ-
ი ხანია ამისთანა კარდონს ვეძებ. მო-
წიე მაი წიგნი აქით, ხომ შეიძლება
ყდაი?

—რა საკითხავია შე ქალო აგი, წიგნი
კი არა სულს არ დევიშურავ შენთვის—
ალერსიანად უპასუხა ალექსანდრემ.

ქალო უმაღ ორივე ყდა ამაცალა.

ამ ოჯახში წელიწად ნახევარი დამ-
ტოვეს. ამ ხნის განმავლობაში რამ არ
გადაიარა ჩემ თავზე. ჩემს სხეულზე არა
ერთმა და ორმა შინჯა კალამი, ფანქარი
თუ მაკრატელი. მეზობლის ბავშვებმა
ხელი გაივარჯიშეს. ჩვენმა ალექსანდრემ
და მისმა დულოცინებმა ეროტულ—ეპი-
კურულ პოეზიაშიც სცადეს თავიანთი
ნიჭი.

აი მათი ტალანტის ზოგი ნიმუში:

ქალო, ფიქრი სწავლისკენ მაქვს
გული შენკენ მიწივს,
მავიწყდება ყოლიფერი
შენ რომ გხედავ იმ წამს.
შენი ალექსანდრე
რავა ბედავ მაგის თანას
ცხვირი გივავს ფიწალს,
დემეკარგე თვალებიდან.
შენ გავისქდა მიწა.

ლუბოჩკა.

ერთ შემოდგომის საღამოს ასეთი დი-
ალოგის მოწმე გავხდით:

—დიდხანია გაწვალდებს სახსრების
ტყვილი? შეეკითხა მოხუცი სტუმარი
ქალი ალექსანდრეს დიდუდას.

—გასული წლის კოკობის თვეში
ამიტყდა, მაგრამ ვაი ამისანა ატყდომას:
თავარი სული ამომადრო.

დიდუია ჩემი არ გადარჩენა, სად ხარ
ქალო მევე ამდენხანსუ მაგის წინააღ-
მდე იმისანა წამალი ვიცი—მისი დაღე-
ვის შემდეგ არავითარი სატყვიარი არ

გეიკაჭანებს შენს ტანში. რეციც აბერ
მაქვს წამოღებული. აბა წაგიკითხავ და
ჩეიწერე თუ ქალი ხარ.

—შვილო ალექსანდრე ერთ ქალადი
მომაწოდე — გადასახა შეილისშვილს
დიდუდამ. ალექსანდრემ გამოარკვია
რაში იყო საქმე და დიდუდას ურჩია
რეციტეტი ჩემს ფურცლებზე მიეწერა,—
„ცალკე ქალადღე შეიძლება დიკარ-
გოსო“.

ცოტა ხნის შემდეგ ჩემს უკანასკნელ
გვერდზე თქვენ ამოკითხავდით შემდეგ
წარწერას:

—„კარგად დანაყ თხემლის უხმარ
ქვიტაში არდაშახანა, დანამასტაკი, დედალ-
მამალი თადურ-ხათი და სირაქლემას
ნადევი. მევე შეინახე ეზოში მეორე
საღამომდე თეთრი ქვის ქვეშ და საღა-
მორულა პირდამუწულმა კიდევ შეურე
ანისუნი, თაფალახი, ქაფური და ქალ-
ბანა, სილიმქის კვერცხის მთელი ტა-
კლიბი დი ესოხის ყვავილი. შემდეგ
ყოლიფერი დი მისხარჩე უცეცხლო ქო-
თანში და ავანტყაფს დააღვევი უბრათ“.

ბოლოს და ბოლოს ალექსანდრე იძუ-
ლებული გახადეს მე ბიბლიოთეკაში
დავებრუნებო. მაგრამ ჩემი წვალემა
ამით არ გათავდა. მიღების დღესვე პირ-
ველმა „მკითხველმა“ ბ. ჯ-შვილმა და-
ნით ამოჭრა შემთხვევით შერჩენილი
ფერადი სურათი და საღამოს დღეობაზე
მიულოცა ახალგაზრდა ქალს შემდეგი
ლექსის წარწერით:

—„მუდამ და მარადის სამახსოვრო და
დაუფიწყარ ლ. პ.ს.“

თუ ფუნქციის დაკარგვას, როგორც მე-
დიცინა ამბობს, სიკვდილი ეწოდება—მე
ცოცხალ—მკვდარი უნდა დამერქვას, რა-
დგან შეიძლება ითქვას დღეს 99,9%—ით
დაკარგული მაქვს ყოველი ფუნქცია.

—აუ, ვინ არის ასეთი ინვალიდი, აღ-
ბათ, ღრმა მოხუცებულ თუა!—იტყვით
ოქვენ.

—ცდებით.—წლოვანობით მე ჯერ კი-
დევი ნორჩი ვარ, მაგრამ უდროოდ დაჩაჩა-
ნაკებულნი. ახალგაზრდა მოხუცი—აი ჩემი
ნამდვილი სახელი.

ამბობენ მოხუცსა და ბავშვს ბევრი ლა-
პარაკი უყვარს. თუმცა ამ ორ ცნებას
ჩემში ერთად ვათავსებ, მაგრამ ჩემს სი-
ცოცხლეში პირველად ავმეტყველდი დღეს,
რომ სიკვდილის წინ ჩემი ისტორია გა-
გაცხოთ.

მე უსულო საგანი ვარ. სახელად წიგნი
მქვიან, მაგრამ იმდენათ ტრაგიულია ჩემი
ბედი, რომ ცოცხალ არსებებაზე ნაკლებ არ
შეგეცოდებოთ.

მე დაიბადე 1930 წელს მოსკოვის ბო-
ლიგრაფიული სკოლის მე—5 სტამბაში.
ჯერ კიდევ ჩემს ყდას წებო არ ქონდა
შემშრალი, როცა შორეულ გზას დააყენეს.
რამდენიმე დღის შემდეგ ტფილისის სახ.
უნტის ბიბლიოთეკაში ამოვყატი თავი
რვა თვე აუწერელი ვეგვე კუთხეში, სამ-
წუხაროთ მეცხრე თვეზე ვილცამ ამწერა
და ამ დღიდან იწყება ჩემი ტრაგედია.

სტუდენტმა გ. ბ.—ქემ, რომლის ხელში
პირველად მოგვედი, გადაშლისთანავე წა-
მაწერა თავის გვარი, სახელი და მამის
სახელი სამ ენაზე: ქართულზე, ფრანგუ-
ლზე და გერმანულზე.

იმ დღესვე მეორე მომხმარებელი გაო-
ცებაში მოიყვანა ფრანგული და გერმა-
ნული და მწერლობის უფიცობამ, წითელი
ფანქრით აღნიშნა შეცდომები, ხოლო ლუ-
რჯი ფანქრით წააწერა თავის გვარი
და პსევდონიმი: „ტუტურენლი“.

—ვეტრე კულტურას და განათლებას,
მე მსურს ჩვენგან შენში ესენი
იცოდე მუდამ, რომ კულტურა
ქალისთვის ძლიერ აუცილებელი.

რა თქმა უნდა დღეობაზე არავის მო-
უგონებია ჩვენი „მგონისთვის“, რომ
კულტურა კაცისათვისაც აუცილებელია.
როგორც ხედავთ ასე თუ ისე ლექსი
დიდი გრძნობით და ექსპრესიით არის
დაწერილი, ოღონდ ლექსის იდეა ავტო-
რის მოქმედებას მთლიანად ვერ ამარ-
თლებს. ამას გარდა რითმა ცოტათი
მოიკოტლებს, ლექსის ცეხურის დარ-
ღვევას, რომ არ შეეცხვოთ, მაგრამ ბუნე-
ბრივია, რომ ამ წვრილმან გარემოებებს
ხელი არ შეუშლია სიხარულიდან და-
წებ აუთოტებულ „ოთბილარისათვის“
ეს ლექსი ბოთხის შედევრად ჩათვალა.

მეტს აღარ გავაგრძელებ. სხვა ტან-
ჯვა-წვალეების მაგალითების ჩამოთვლა
აღარ ღირს. ვიტყვი მხოლოდ, რომ
დღეს დილით განსაკუთრებული ტკივი-
ლი ვიგრძნე, როცა მოწინავე სტუდენ-
ტმა, დამკვრელმა დ. გ-ქემ ჩემს ნახვის-
თანავე ამხანავ სვედიანათ უთხრა:

—ასეთ დამახინჯებულ წიგნზე მუ-
შაობა ძმაო, ფსიქოლოგიურად არ შემი-
ძლია, წავალ გეგბ სადმე სხვაგან ვი-
შოვნო...
იმ აურთაცხელ წარწერებიდან, რომე-
ლიც ჩემს ტანჯულ სხეულზე არიან
აღბეჭდილი ჩემს ბედს მხოლოდ წითას
სიტყვები, გამოხატავს რომელიც ტექსტში
ზევის ფერებით ჩამწერა ხელმოწევით
თავდავიწყებამდე გატაცებულმა ახალ-
გაზრდამ ეს შოთას სიტყვებია: „რალაა
იგი სინათლე, რასაც ახლავს ბნელი“.

მართლაც რალა ეხლა ჩემი სიტყვ-
ლე. მე რომ აწ უკვე არავისთვის გამო-
სადევი არა ვარ,—ამიტომ ნუ გაუკვირ-
დება ჩემი უკანასკნელი სიტყვები უნი-
ვერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვა-
ნელობას:

—„რათ გინდათ ჩემი სიკვდილის ავონი-
ს უტკირით. უტილ-ნედლეულში მაინც
გადამიძახეთ დროულად.“

ბარკი.

მიმდინარე წელს სახ. უნივერსიტეტმა სტუდენტთა საბანაჟო შეკრება საუკეთესო მაჩვენებლებით ჩაატარა. დივიზიის სარდლობის მიერ უნივერსიტეტის სამხედრო ხერხმძღვენილებს და სტუდენტებს გამოცხადდა მადლობა და სათანადოდ დაჯილდოებულ იქნენ უნივერსიტეტის რექტორატის მიერ. საბანაჟო შეკრების დამთავრებისას, № ლეგიონის სამხედრო კომისიის მიმართვას ლეგიონში პოლიტ. მეცადინეობის გარღვევის სალიკვიდაციოდ, სტუდენტთა ერთი ჯგუფის დამატებით დარჩენის შესახებ აღფრთოვანებით შეხედენ შემდეგი ამხანაგები: უკლებია გიორგი, კიწმარიშვილი გიორგი, თევზაძე ვახილ, გაბუნია ტრიფონ, დოლიძე იხილო, ხუხუა შალვა, ფაცურია ვლასი და ჯანელიძე.

ზემოაღნიშნულმა ამხანაგებმა ვალდებულება პირნათლად შეასრულეს, მათზე მიმდრეხულმა ჯგუფებმა შემოწმების დროს სამხედრო პოლიტიკურ მომზადებაში მიიღეს საუკეთესო შედეგები.

მივბაძით წითელი ქაზარმის ასეთ ენტიზიასტებს.

კიწმარიშვილი,

კლუბის
გუშაობა
უნდა
გარდაიქმნას

უნივერსიტეტის საკლუბო მუშაობაში ბევრი რამ არის გასაკეთებელი. საწრეო მუშაობა კლუბის ხაზით ძალზე ჩამორჩება სუსტი ხელმძღვანელობის გამო. მაგ. დრამ-წრეში მომუშავე ამხანაგები გაურბიან მუშაობას, რაც გამოწვეულია იმით, რომ სუსტი წრეზე ხელმძღვანელობა და წრის წევრთა დანტერესება.

ფოტო წრეს საუკეთესო გასაქანი აქვს უნივერსიტეტში, მაგრამ საჭირო ინვენტარის უქონლობის გამო იგი თავის სიმაღლეზე ვერ დგას.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ის, რომ ადგილი აქვს კლუბში ინვენტარის გაუპიროვნებას, არ არის მიმაგრებული ინვენტარი ცალკე წრეებზე, ზოგიერთი წრეები (ფოტო-წრე, ჰადრაკის წრე) არ არის უზრუნველყოფილი საჭირო ინვენტარით.

სტუდენტთა აღმასბიუროს ა/წ 25 სექტემბრის დადგენილებით უნივერსიტეტის კლუბის გამგეობა ცუდი მუშაობისათვის დაშლილ იქნა და სამუშაოდან მოიხსნა კლუბის გამგე ამხ. თავბერიძე. კლუბის ახალმა გამგეობამ დროულად უნდა გაშალოს მუშაობა.

უნივერსიტეტის კლუბი უნდა გადაიქცეს პოლიტიკური მუშაობის ფართო კერად.

ივ. კორტავა.

პ. მებრევილი.

ტფილისის სახ. უნივერსიტეტმა ღირსეულად მოიპოვა საუკეთესო წამყვანი ფიზკულტურული ორგანიზაციის სახელი. სასწავლო წელი საგრძნობი მიღწევებით და საუკეთესო მაჩვენებლებით დამთავრდა მასობრივი ფიზკულტურის მუშაობის დარგში. უნივერსიტეტს მტკიცედ უჭირავს ორი გარდამავალი რესპუბლიკური დროშა: ერთი მიღებული ფიზკულტურულ ალღუშში გამარჯვებისათვის და მეორე უმაღლეს სასწავლებლებს შორის საკავშირო ფ. კ. კონკურსში პირველობის მოპოებისათვის. ეს ორი უდიდესი გამარჯვება და მთელი რიგი სხვა მიღწევები ფიზკულტურის მუშაობის ფრონტზე და საპატიო ჯილდოები (გარდამავალი დროშები) გვახალისებს უფრო მეტი ენერგიით გავშალოთ ფ. კ. მუშაობა ახალი სასწავლო წლის დაწყებისთანავე.

რა უნდა გაკეთდეს წელს:

- 1. სასწავლო ნაწილს გეგმაში გათვალისწინებული უნდა ექნეს ყოველი აკადემიური ჯგუფისათვის ექვსდღიურში 2 საათი, ნაცვლად ერთი საათისა.
- 2. მოკლე ხანში უნდა დამთავრდეს სასპორტო ბაზის სანიმუშოდ მოწყობა (ტან-სავარჯიშო დარბაზი, შხაპი, საექიმო კაბინეტი, გასახდელი ოთახები, სასპორტო მოედანი, სამხედრო-სავიწრო მოწყობილობა, ტანსავარჯიშო ქალაქის აგება და სხვ.).

3. სასწავლო წლის დაწყებისთანავე უნდა გაიშალოს სამხადისი ოქტომბრის დღესასწაულისათვის თანახმად ტფილისის კომიტეტის დადგენილებისა.

იმისათვის, რომ წარმატებით დალაშქრდეს შევასრულოთ თავისუფალი ვარჯიშები, საჭიროა ყოველდღიური მეცადინეობა და წურთნაშადება აგრეთვე სამწყობრო დარგშიც.

4. თვითმოქმედ ფიზკულტ. მუშაობის ხაზით მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს სასპორტო სკოლების ჩამოყალიბებას, მის გემინ მუშაობას და ხარისხს.

ამ სასპორტო სკოლებში ტანსავარჯიშო, ჯომარდ თამაშობათა, მძლეონობისა და ძალოსნობისა საუკეთესო ძალები უნდა შედიოდნენ ყველა ფაკულტეტიდან. წელს უნივერსიტეტს ყოველ მიზეზს გარეშე უნდა ეყოლოს ნაკრები გუნდები ზემოაღნიშნული ჯომარდობის დარგებში სასპორტო სკოლების მუშაობა 100 პროცენტით უნდა იქნას უზრუნველყოფილი მუშაობის საუკეთესო პირობების შექმნით (სათანადო თანხები), სექციონური ხელმძღვანელობა, ტრენერები, სასპორტო მოედნები, სასპორტო კოსტუმები და სხვ.). მიმდინარე სასწავლო წელს მოსალოდნელია საკავშირო შეჯიბრების მოწყობა უნივერსიტეტებს შორის. ჩვენ ამ შეჯიბრებისათვის უსათუოდ მზად უნდა ვიყოთ.

5. პროფესორთა და პედ. პერსონალს შორის ფ. კ. მუშაობას

გარკვეული გეგმიანი ფორმა უნდა მიეცეს. ჩვენ საუკეთესო ძალები მოგვეზოვა პროფესორ-დოცენტთა შორის. წარსულ სასწავლო წელს (მაისში) მათ საუკეთესო მაჩვენებლები მოგვეცეს განსაკუთრებით ჯომარდ თამაშობაში.

6. მთელი სასწავლო და სასპორტო ტექნიკური მუშაობა უნდა გაფარდოვდეს და ძირიანად გარდაიქნეს „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის“ ნიშნის ქვეშ. 1 და-2 საფეხურების კომპლექსის ბაზაზე მომავალ წელს ყველა საკონტროლო ციფრი ამ დარგში გადაქარბებით უნდა შესრულდეს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მეორე საფეხურის კომპლექსს, რომელიც წარმოადგენს საბჭოთა ფ. კ. სისტემის დამაგვირგინებელ ეტაპს.

7. საჭიროა მეტი დახუტებული მუშაობა საექიმო კონტროლის დარგში. უნივერსიტეტის სასპორტო სკოლებში უნდა ჩატარდეს საკვლეო-მეცნიერული მუშაობა.

უნივერსიტეტში ფიზკულტურას აქვს მტკიცე ნიადაგი, ნისი ყველა ორგანიზაციები და მთლიანად უნივერსიტეტი ფიზკულტურისზეულია. საუკეთესო სასპორტო ტექნიკური მიღწევები უნდა ამკობდეს უნივერსიტეტს. ამასთანავე ამ მაღალი სასპორტო ტექნიკის მაჩვენებლების მატარებლები ჯეროვნად უნდა იყვნენ აღნიშნული და შეფასებული.

გ. ვერულაშვილი.

ქაქეთი თვითმფრინავი

შენდევა აკ. მაც. მუშ. სახელობის თვითმფრინავი

სახ. უნივერსიტეტის პროფ. პედაგოგთა და აღმინ ტექ. პერსონალი მხურვალედ გამოეხმებურა მეცნიერებათა აკადემიის ა/კ. ფილიალის ინიციატივას, ა/კ. „მეცნიერულ მუშაკი“-ს სახელობის თვითმფრინავის აგების შესახებ.

ა/კ. მეც. მუშაკთა სახელობის თვითმფრინავის ასაგებ ფონდში ამხ. სურგულაძეს ირ. შემოაქვს 25 მან. და იწვევს: ამხ. ამხ. ნანეიშვილს, ვაჩიშვილს, გეგენავას და კ. ბაქრაძეს.

შემომაქვს ათი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: აპოლონ ნუცუბიძეს, იახონ კვირიკაძეს, მიშა ჩიკვაძეს, მიშა ჩხენკელს, ილია მარგოშას, ალ. ლლონტს, მიხეილ ჩიქოვანს, ტატიანა სანაძეს შალვა გოცირიძეს, გრიშა სვანიძეს, ზორია სიხარულიძეს.

ასპ. ტრიფონ რუხაძე.

დროზე გამოვასწოროთ

გასული წლის ივლისიდან სტუდენტთა ქალაქში მოწყობილ იქნა აბანო. ამ აბანოს მოწყობის შემდეგ სტუდენტებს არ სჭირდებათ შორის აბანოებში წასვლა და ზედმეტი დროს ხარჯვა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ აბანო ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ მოწყობილი.

ამხ. შ. სანიკიძეს შემოაქვს 25 მანეთი და იწვევს ამხ. ამხ. გენგმანს, ბზიკაძეს და გვაზავას.

ამხ. გ. მეგრელიშვილს შემოაქვს 25 მანეთი და იწვევს ამხ. ამხ. კ. ჭკუასელს, პ. კობიძეს, გ. ძიგრაშვილს, ი. ბაჯაძეს და გ. ჯანელიძეს.

პ. იოსელიანს შემოაქვს 25 მანეთი და იწვევს ამხ. აპ. სამსონიას

ამხ. კ. ჭირაქაძეს შემოაქვს 25 მანეთი და იწვევს ამხ. გ. ბიწაძეს და ბ. სიხარულიძეს.

ამხ. ტ. კასრაძეს შემოაქვს 15 მანეთი და იწვევს ბიბლიოთეკის თანამშრომლებს მთლიანად.

თვით მფრინავის ასაგებ ფონდში შესატანი თანხების ჩაბარება შეიძლება გაზ. „ბოლშევიკურ კადრებისათვის“ რედაქციაში.

აბანოს არ ჰყავს თანამშრომლები, წესრიგს არავენ იცავს, ამიტომ აქ მოსალოდნელია ყოველგვარ დამახინჯებას ექნეს ადგილი, ამ გარემოებას დროზე უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება.

გ. მუთათელიძე

სხრილი
მოითხოვს
შესწორებას

ეკონომიური ფაკულტეტის 111 კურსის №6 ჯგუფი სასწავლო წელს მომზადებული შეხვდა. სტუდენტები რაიონებიდან ჩამოვიდნენ სწავლის დაწყების 4 დღით ადრე. 25 სექტემბერს ჯგუფის მთლიანი შემადგენლობა გამოცხადდა ლექციაზე. ჩვენ მზად დაგვხვდა ლექციების განრიგება, ასე რომ არავითარ დაბრკოლებას წელს არ ჰქონია ჩვენთან ადგილი. სტუდენტების აღრიცხვა დაიწყო პირველი ლექციებიდანვე, პროფესორ-ლექტორები ლექციებზე ცხადდებიან დაუგვიანებლივ. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ შედგენილი ცხრილი ჩვენი აზრით მოითხოვს შესწორებას; ყოველდღიურად ლექციები გვეწყება ხან დილით, ხან შუაღამის 1 საათზე და ხან საღამოს 7 საათიდან 11-მდის.

ჩვენი აზრით ცხრილი უნდა შესწორდეს ისე, რომ არ ექნეს ადგილი ლექციების გაწყვეტას.

დუშუაშვილი.

უწყება

რედაქცია თხოვს ამხ. კვიციანიძეს აღექსანდრე გაბრიელის-ძეს შემოიაროს ჩვენთან.

ფ. კ. ალღუშისათვის მზადების პირველმა დღეებმა ტფილისის სახ. უნივერსიტეტში გამოაშკარავა მთელი რიგი უარყოფითი მოვლენები, რომლებიც ხელს უშლიან მოსამზადებელი მუშაობის წარმატებით ჩატარებას და საფრთხეს უქმნის უნივერსიტეტის ფ. კ. ორგანიზაციას ალღუშზე გამარჯვების მოპოების საქმეში.

უარყოფითი მოვლენები ძირითადად გამოიხატება შემდეგში:

- ა). შემჩნეულია, რომ დილის ვარჯიშობაზე სრულიად უმიზეზოდ არ ცხადდება, ან ძალზე ავგიანებს სტუდენტობის მნიშვნელოვანი ნაწილი, შემჩნეულია, რომ ხშირად იგვიანებენ აგრეთვე მეთაურები ზოგიერთი პარტორგანიზატორები, კ. კ. უჯრედის მდივნები და სხვ.
- ბ). ძალზე ცუდათაა დაყენებული მეცადინეობაზე დასწრების აღრიცხვა.
- გ). სრულიად არ არის გამოლილი პოლიტ. მასიური მუშაობა, ურომლისოდაც ძნელია სათანადო დისციპლინის შენარჩუნება.
- დ). ადგილი აქვს სიმულიანტობას და თავის მობეზრებას ვარჯიშობიდან განთავისუფლების მიზნით.
- ე). საათები არ არის გამოყენებული დანიშნულებისამებრ სრული დატვირთვით და სხვ.

ზემოაღნიშნული ღეფექტების დაუკონებლივ აღმოფხვრის და ალღუშისათვის წარმატებით მომზადების მიზნით ვებრძანებ:

ვ). ა. გამოეცხადოს საყვედური 8 ოქტომბერს მეცადინეობაზე დაგვიანებით გამოცხადებისათვის შემდეგ სტუდენტებს: ბ. თოდუას, ე. შავგულიძეს, ა. არჩვაძეს.

ბ. გამოეცხადოს სასტიკი საყვედური სასულე ორკესტრის მუსიკანტს (ა. ლ. კ. კ. წევრს) ალექსანდრე ჩიქობავას ორკესტრში მეცადინეობის იგნორირებისათვის.

გ. გაფრთხილება მიეცეს ამავე ორკესტრის მუსიკანტს გ. კემულარიას მეცადინეობის იგნორირების გამო. დაველოდოთ აღმასბიუროს მიიღოს სათანადო ზომები მის მიმართ.

ვახალეს სამუშაოებს და პოლიტხელს დაუკონებლივ შეუდგენ თავიანთ მოვალეობის შესრულებას და უზრუნველყონ პოლიტმასიური მუშაობის გაშლა იმ ანგარიშით, რომ ამთავითვე ნაწილების მეთაურებთან ერთად სრულიად აღკვეთილ იქნას უღისციპლინობა და აგრეთვე სასტიკი ბრძოლა გამოეცხადოს დაგვიანებას და სიმულიანტობას.

ტფ. სახ. უნივერსიტეტის რექტორი პროფ. ლ. აღნიაშვილი ხელმძღვანელობის შტაბის უფროს პარტკომის მდივანი: ვილონანი

რედაქტორი—სარედაქციო კომლეგი